სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია
რექტორის №86-21 ბრძანებით, 26.04.2021

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:
რექტორის №122-21 ბრძანებით; 16.04.2021
რექტორის №183-22 ბრძანებით; 26.09.2022
რექტორის №63-23 ბრძანებით; 14.03.2023
რექტორის №08-24 ბრძანებით; 24.01.2024

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი

თბილისი
2024

1. საბაკალავრო/სამაგისტრო/ სადოქტორო/მედიცინის პროგრამა. მისანიჭებელი კვალიფიკაციები. ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი.

1.1 საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ადგენენ ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორანტურის/სადოქტორო/დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს და წარმოადგენენ სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია კურსდამთავრებულისათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) დონით, რაც აუცილებელია პირის შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მიმართულებებს, დარგებს/სპეციალობებს ან/და ქვედარგებს/სპეციალიზაციებს (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში);

1.2 უნივერსიტეტი ახორციელებს: ა) პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) საგანმანათლებლო პროგრამებს; ბ) მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) საგანმანათლებლო პროგრამებს; გ) მესამე საფეხურის (სადოქტორო) საგანმანათლებლო პროგრამებს. დ) მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას.

1.2.1 ბაკალავრიატი – უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლისშედეგებს, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

- ბაკალავრიატში სწავლის მიზანია: შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლება, სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;
- საბაკალავრო პროგრამის მოცულობა, ECTS: მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. უნივერსიტეტში ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს;

- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით: ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები; ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები; გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები. უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით.
- პროგრამის სწავლის შედეგები: უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგები დაფუძნებულია სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებზე. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება უმაღლესი განათლების I საფეხურზე (ბაკალავრიატში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს 3 კრიტერიუმს: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 240 კრედიტის დაგროვება პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე, სტუდენტს ასოცირებული ხარისხი ენიჭება ამ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვებისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისშედეგად.

1.2.2 მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს დოქტორანტურაში შემდგომი სწავლისა გაგრძელებისათვის ან/და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

- მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია: ა) შესაბამის მიმართულებაში, დარგში/სპეციალობაში ან/და ქვედარგში/სპეციალიზაციაში ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარების გამომუშავება, რაც პირს ამზადებს მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ან/და დოქტორანტურაში სწავლისათვის; ბ) სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა); გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება; დ) პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება.
- სამაგისტრო პროგრამის მოცულობა, ECTS: მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. მაგისტრანტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. უნივერსიტეტში ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს;
- სამაგისტრო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.
- პროგრამის სწავლის შედეგები: შედეგებზე. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება უმაღლესი განათლების II საფეხურზე (მაგისტრატურაში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს 3 კრიტერიუმს: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 120 კრედიტის დაგროვება პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

1.2.3 დოქტორანტურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

- დოქტორანტურაში სწავლის მიზანია: შესაბამის დარგში პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზი, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა.
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დოქტორანტს უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.
- სწავლის შედეგები: პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება უმაღლესი განათლების III საფეხურზე (დოქტორანტურაში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს 3 კრიტერიუმს: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

1.2.4 მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - უთანაბრდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 360- კრედიტს.

- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: ა) დარგში/ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარების გამომუშავება, რაც პირს ამზადებს:

➢ იმუშაოს უმცროს ექიმად დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის ზედამხედველობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით,

➢ შემდგომი საფეხურის პროფესიული განვითარებისათვის და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, კერძოდ რეზიდენტურის კურსისათვის შესაბამის სპეციალობაში, რათა უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დოქტორანტურაში სწავლისათვის;

- განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ მოითხოვს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 6 წელს ანუ 12 სემესტრს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა- ერთხელ მთელი 6 წლის განმავლობაში.
- პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მიხედვით კვალიფიკაციათა ჩარჩოს და საერთაშორისოდ აღიარებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

1.3 რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესსა და საფასურს ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

1.4 საერთო მოთხოვნები საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო/მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისადმი:

- პროგრამა უნდა იყოს დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- პროგრამა უნდა იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ჰქონდეს თანმიმდევრული, კანონმდებლობით დადგენილის შესაბამისი სტრუქტურა;
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
- პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადი;
- პროგრამით სწავლის შედეგები უნდა იყოს აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში) და უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო სფეროსა და დასაქმების ბაზარზე;
- პროგრამის ყველა კომპონენტი უნდა იყოს ასახული პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე

დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. უნივერსიტეტში ყველა სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი (გარდა პროგრამის სპეციფიკით დადგენილი გამონაკლისებისა). დაუშვებელია ერთი და იგივე სახელწოდების და მოცულობის (კრედიტებში) სასწავლო კურსს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში გააჩნდეს სხვადასხვა მიზანი, სწავლის შედეგი ან შინაარსი. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვ.) კრედიტების მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობა და მათი თანაფარდობა, დაგეგმილი მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის კომპონენტის შინაარსი და მისი შესწავლის ფორმატი, სწავლების მეთოდები და სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა, სავალდებულო (ძირითადი) და დამატებითი (დამხმარე) ლიტერატურა და სხვ. უნდა იყოს ურთიერთშესაბამისი, რომელიც გადის ამ კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლების (არსებობის შემთხვევაში) სათანადო დონით (დანართი 1.5).

- პროგრამის აღწერილობას (კურიკულუმს) თან უნდა დაერთოს პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის სილაბუსი.

1.5 სწავლის ხანგრძლივობა და სასწავლო დროის განაწილება

- ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და შეადგენს 36 კვირას. თითოეული სემესტრი მოიცავს 18 კვირას. ამათგან: - 13 სალექციო კვირა, 2 შუალედური გამოცდების კვირა, 2 დასკვნითი გამოცდების კვირა და ერთი დამატებითი დასკვნითი გამოცდების კვირა. დამატებით დასკვნითი გამოცდები უნდა დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

  მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და შეადგენს 40 კვირას. თითოეული სემესტრი მოიცავს20 კვირას. გარდა ცალკეული სასწავლო კურსებისა, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში თითოეული სემესტრი მოიცავს: 15 სალექციო კვირა, 2 შუალედური გამოცდების კვირა, 2 დასკვნითი გამოცდების კვირა და ერთი დამატებითი დასკვნითი გამოცდების კვირა.

- ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და შეადგენს 32 კვირას. თითოეული სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ამათგან: - 13 სალექციო კვირა, 2 დასკვნითი გამოცდების კვირა და ერთი დამატებითი დასკვნითი გამოცდების კვირა. დამატებით დასკვნითი გამოცდები უნდა დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. *(ძალაში შევიდეს 2024 წლის შემოდგომის სემესტრიდან).*

- პროგრამის კრედიტები ნაწილდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები

(სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი), დამატებითი პროგრამა (სასწავლო კურსები) და თავისუფალი კომპონენტები; თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და კვლევით კომპონენტებს (კვლევითი ნაშრომი/პროექტი და სამაგისტრო ნაშრომი).
- სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო, რომელიც მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან (სადისერტაციო ნაშრომი).
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა მოიცავს კრედიტების გადანაწილებას შემდეგი სახით: სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/სხვა. მინიმუმ 330 ECTS, ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები მაქსიმუმ 30 ECTS.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელი ასპექტები (Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process, 2005)

2.1 საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტზე და შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და მასში ძირითადი აქცენტი მისანიჭებელ აკადემიური ხარისხზე/კვალიფიკაციაზე კეთდება. პროგრამის პროფილი საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებულ და აღიარებულ საჭიროებებს უნდა დაეფუძნოს. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: შიდა დაინტერესებული მხარე - აკადემიური საზოგადოება, სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მხარეს აქვს თავისი ადგილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა გზით უნდა იყოს მიღწეული ისინი. გასათვალისწინებელია, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების დასკვნებზე და გადაწყვეტილებებზე. პროგრამის შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მნიშვნელოვანია შესაბამისი დარგობრივი სფეროსთვის და რა ქმნის.

2.2 პროგრამის ინდივიდუალური ერთეულების (კურსი/მოდულის და სხვ.) სწავლის შედეგები ქმნიან საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. სტუდენტების კომპეტენციები ვითარდება პროგრესირებადი გზით: მარტივიდან რთულამდე, ზოგადიდან - კონკრეტულამდე. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენციების ფორმირება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე პროგრამით

გათვალისწინებული კომპონენტების შესწავლის შედეგად. ამავე დროს, შეიძლება არსებობდეს კომპეტენციები, რომელთა ფორმირება არ არის აშკარა. აქედან გამომდინარე, სწავლის შედეგებში დეტალურად უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა მიღწევის შეფასება არის ფაქტობრივად შესაძლებელი;

2.3 თუნინგის ხედვით, ერთმანეთთან გაურკვევლად დაკავშირებული კურსების ჯამი არ წარმოადგენს ერთიან საგანმანათლებლო პროგრამას. მისაღწევ კომპეტენციებზე ორიენტირებულ და კარგად დაგეგმილ პროგრამაში ყველა კომპონენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მათი შედეგები ავსებენ ერთმანეთს, ავითარებენ სტუდენტის კომპეტენციების დონეს და ერთობლივად ქმნიან პროგრამის საერთო შედეგებს - კურსდამთავრებულის კომპეტენციებს. მაშასადამე, პროგრამა არის კომპონენტებისგან კონსტრუირებული მთლიანობა, სადაც თითოეულ კომპონენტსაქვს თავისი მნიშვნელობა და შესაბამისი წილი კრედიტებში. აღნიშნული ეხება არა მარტო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს (სასწავლო კურსებს/მოდულებს და სხვ.), რომლებიც შეადგენენ პროგრამის ძირითად ნაწილს (ბირთვს), არამედ არჩევით სასწავლო კურსებსაც, რომლებმაც კარგად დაგეგმილ პროგრამაში უნდა გააძლიერონ კურსდამთავრებულის კომპეტენციები და უზრუნველყონ სტუდენტი ინდივიდუალური პროფილის ფორმირების შესაძლებლობით;

2.4 უნდა იყოს შემუშავებული და ხორციელდებოდეს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვ.) მონაწილეობის მექანიზმი;

2.5 უნდა იყოს შემუშავებული და მოქმედებდეს პროგრამის განხორციელების და ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომლებიც მიმართულია პროგრამის შემდგომ სრულყოფაზე.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა

3.1 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტების, სადოქტორო სკოლის, აკადემიური პერსონალის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ;

3.2 ინიცირების საფუძველი შეიძლება იყოს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი ან პარტნიორ უცხოურ და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

3.3 საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებაში ჩართულები უნდა იყვნენ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები/კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლები;

3.4 პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დარგის სპეციფიკა/უნივერსიტეტის პრიორიტეტები/დამსაქმებლის/პოტენციური დამსაქმებლის მოთხოვნები/პარტნიორებიდან მიღებული უკუკავშირი;

3.5 საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას;

3.6 პროგრამაში (დანართი 1.1) მითითებული უნდა იყოს:

3.6.1 პროგრამის სახელწოდება;

3.6.2 პროგრამის ხელმძღვანელი - პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება;

3.6.3 სწავლების ენა - პროგრამაში უნდა მიეთითოს რომელ ენაზე ხორციელდება შესაბამისი პროგრამა. უცხოურ ენაზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტების შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად

უცხოური ენის ფლობის დადგენა ან /და გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება;

3.6.4 მისანიჭებელი კვალიფიკაცია - შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;

3.6.5 პროგრამის მოცულობა კრედიტებით - საბაკალავრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტის, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტის, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრა მამოიცავს არანაკლებ 360 კრედიტს. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. პროგრამის სპეციფიკიდან ან/და ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა - ერთხელ მთელი 6 წლის განმავლობაში. 1 კრედიტი = 25 საათს.

3.6.6 პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი;

3.6.7 პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი;

3.6.8 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;

3.6.9 სწავლის შედეგი - სწავლის შედეგებში აისახება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;

3.6.10 პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გამჭვირვალეა და ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

3.6.11 სწავლება-სწავლის მეთოდი - სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

3.6.12 სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა - უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;

3.6.13 დასაქმების სფერო;

3.6.14 სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

3.6.15 პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი;

3.6.16 სწავლების ორგანიზების თავისებურებები;

3.6.17 სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტი, შესაბამისი კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, დაშვების წინაპირობების, სტატუსის და სემესტრების მითითებით;

3.6.18 პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

3.6.19 სწავლის შედეგების რუკა - სწავლის შედეგების რუკა მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან;

3.7 პროგრამას თან უნდა ახლდეს:

3.7.1 სასწავლო კურსის სილაბუსები; (დანართი 1.2)

3.7.2 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; (დანართი 1.3)

3.7.3 ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ - პროგრამას უნდა ახორციელებდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; (დანართი 1.4)

3.7.4 პროგრამის დამტკიცების აქტი;

3.7.5 პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის ფინანსური გეგმა;

3.8 პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უნდა შეესაბამებოდეს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოლოგიით“ დადგენილ სტანდარტს.

3.9 აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრადობას და არ უნდა აღემატებოდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის 5%-ს;

3.10 პროგრამის განხილვა და შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან:

3.10.1 აღნიშნული წესის დაცვით შემუშავებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ხარისხის მართვის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას;

3.10.2 პროცედურების განხორციელების შემდეგ ხარისხის მართვის სამსახური ადგენს დასკვნას;

3.10.3 დასკვნაში რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში ხდება პროგრამის გადამუშავება;

3.10.4 საბაკალავრო, სამაგისტრო და მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების დადებითად შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და დამტკიცების შემთხვევაში ფაკულტეტი განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

3.10.5 სადოქტორო პროგრამის დადებითად შეფასების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო

განიხილავს პროგრამას და დამტკიცების შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

3.10.6 აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

3.10.7 აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამული აკრედიტაციის მიზნებისთვის ახალი პროგრამის შემთხვევაში.

3.11 საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ნიმუშები, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ წესს, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს. შესაძლებელია დანართები იყოს განსხვავებული ფორმის.

4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

4.1 საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესის გაუმჯობესების და პროგრამის განვითარების მიზნით ყოველი სასწავლო სემესტრისდაწყებამდე ორი კვირით ადრე;

4.2 ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის შედეგად მიღებული მონაცემები;

4.3 ცვლილებების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს აკრედიტაციის დროს ან პროგრამის მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით;

4.4 პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

5.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შეფასებისას გამოვლენილი შრომის ბაზრის ანალიზი, კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი, სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები, პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა, სტუდენტების მხრიდან ინტერესის არარსებობა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები და სხვა;

5.2 გადაწყვეტილება საბაკალავრო/სამაგისტრო/მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით მიიღება ფაკულტეტის საბჭოზე, ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში-სადისერტაციო საბჭოზე.

5.3 ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება აკადემიურ საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;

5.4 გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი პროცესების დაგეგმვის და განხორციელების მიზნით.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

6.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

6.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებას და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს;

6.3 ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოსშესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო/მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისგანმახორციელებელ ფაკულტეტს, ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში - სადოქტორო სკოლას. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

6.4 ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას საბაკალავრო/სამაგისტრო/მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაშისადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის **წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.**

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დანართი 1.1

საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო/მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	
პროგრამის ხელმძღვანელი	
სწავლების ენა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	

პროგრამის მიზანი

სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება კურსდამთავრებული:
უნარი კურსდამთავრებული:
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა კურსდამთავრებული:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სწავლება-სწავლის მეთოდი

☐ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☐ პრაქტიკული მუშაობა ☐ სემინარი ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	მაქსიმალური ქულა
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	

1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი სათები
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
	სასწავლო კომპონენტი											
	სავალდებულო სასწავლო კურსები											
1.												
2.												
3.												
	არჩევითი სასწავლო კურსები											
1.												
2.												
3.												
	პრაქტიკული კომპონენტი											
	სავალდებულო კურსები											

1.												
2.												
	კვლევითი კომპონენტი											
1.												

სემესტრში								
წელიწადში				
სულ	

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები				
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)
1.								
2.								
3.								

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
1.				
2.				
3.				

სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის ფორმა

ფაკულტეტი	
საგანმანათლებლო პროგრამა	
უმაღლესი განათლების საფეხური	

სასწავლო კურსის სახელწოდება	
სასწავლო კურსის სტატუსი	
სწავლების ენა	
წინაპირობა	

სასწავლო კურსის ავტორი	სახელი, გვარი	
	სამეცნიერო ხარისხი	
	თანამდებობა	

საკონსულტაციო დღე	ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით (იხ. უნივერსიტეტის ვებგვერდი: http://www.sabauni.edu.ge).

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	**კრედიტი (ECTS)**	
	სულ საათები (1 კრედიტი = 25 საათი)	
	საკონტაქტო საათები	
	ლექცია	
	სემინარი/პრაქტიკული	
	დასკვნითი გამოცდა	
	დამოუკიდებელი საათები	

სასწავლო კურსის მიზანი	სტუდენტი: •

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	სტუდენტი: •
უნარი	სტუდენტი: •
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სტუდენტი: •

სწავლება სწავლის მეთოდი	☐ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☐ პრაქტიკული მუშაობა ☐ სხვა (...)	☐ სემინარი ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას (მაქსიმუმ 70 ქულა) და დასკვნით შეფასებას (მაქსიმუმ 30 ქულა), რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტებია ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია/პროექტი. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტს გააჩნია თავისი წილი შუალედური შეფასების 70 ქულის ფარგლებში. სტუდენტის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით (70 ქულის).

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების კომპონენტია დასკვნითი წერითი გამოცდა. დასკვნითი წერითი გამოცდა სავალდებულოა. დასკვნით წერით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დაგროვილი აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დაგროვილი არ ექნება შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, დასკვნით წერით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შეადგენს X ქულას. დასკვნითი შეფასება ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დასკვნით წერით გამოცდაზე დააგროვებს მინიმუმ X ქულას.

სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (30 ქულა) გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწი- ნებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

დადებითი შეფასება

A - ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა
B - ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
C - კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
D - დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
E - საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

უარყოფითი შეფასება

FX – ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ამასთან, დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში).
F - ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

შეფასების ფორმები და კომპონენტები

N	შეფასების ფორმები და კომპონენტები	რაოდენობა	თითოეულის მაქსიმალური შეფასება	მაქსიმალური ქულა
1	**შუალედური შეფასება, მათ შორის:**			**70 ქულა**
1.1.				

1.2.				
1.3.				
2	**დასკვნითი გამოცდა**			**30 ქულა**
2.1				
			სულ	**100 ქულა**

შუალედური შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები

კომპონენტები	**მეთოდები და კრიტერიუმები**	
წერითი გამოკითხვა	**შეფასების მეთოდები: ---** მაქსიმალური შეფასება --- ქულა.	
	ქულა	**შეფასების კრიტერიუმები**
	ქულა	**შეფასების კრიტერიუმები**
	ქულა	**შეფასების კრიტერიუმები**

დასკვნითი გამოცდის კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები

კომპონენტები	**მეთოდები და კრიტერიუმები**	
დასკვნითი გამოცდა	**შეფასების მეთოდები:** - მაქსიმალური შეფასება --- ქულა.	
	ქულა	**შეფასების კრიტერიუმები**
	ქულა	**შეფასების კრიტერიუმები**

სასწავლო კურსის შინაარსი

კვირა	**სწავლის მეთოდი**	**შინაარსი/შეფასების კომპონენტი/მაქსიმალური შეფასება**
1	ლექცია (სთ)	**თემა 1.** •
		ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	დისკუსია სილაბუსის სტრუქტურაზე, კურსის შინაარსზე, შეფასების სისტემაზე და სავალდებულო კითხვაზე.

2	ლექცია (სთ)	**თემა 2.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
3	ლექცია (სთ)	**თემა 3.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
4	ლექცია (სთ)	**თემა 4** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
5	ლექცია (სთ)	**თემა 5.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
6	ლექცია (სთ)	**თემა 6.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
7	ლექცია (სთ)	**თემა 7** • ძირითადი ლიტერატურა •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
8	ლექცია (სთ)	**თემა 8.** • ძრითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
9	ლექცია (სთ)	**Topic 9.** • **თემა** ძირითადი ლიტერატურა:

		•
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
10	ლექცია (სთ)	**თემა 10.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
11	ლექცია (სთ)	**თემა 11.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
12	ლექცია (სთ)	**თემა 12.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
13	ლექცია (სთ)	**თემა 13.** • ძირითადი ლიტერატურა: •
	სემინარი/პრაქტიკული (სთ)	**შეფასების კომპონენტი** – ზეპირი გამოკითხვა // წერითი გამოკითხვა. **მაქსიმალური შეფასება - - - ქულა**
14-15	სთ	**შეფასების კომპონენტი - დასკვნითი წერითი გამოცდა. მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა**
16	სთ	**შეფასების კომპონენტი - დამატებითი დასკვნითი წერითი გამოცდა. მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა**

ძირითადი ლიტერატურა:	•

ნორმატიული აქტები:	•

ინტერნეტ-რესურსები:	•

დამხმარე ლიტერატურა:	•

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დანართი 1.3

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

შესაფასებელი სწავლის შედეგი/კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად	სასწავლო კურსი	სამიზნე ნიშნული	აკადემიური წელი
(A)	•		
(B)	•		
(C)	•		
(D)	•		
(E)	•		
(F)	•		

პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

დანართი 1.4

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

პროგრამის დასახელება _____

№	პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სახელი და გვარი	სასწავლო კურსი	დაკავებული თანამდებობა (აფილირების მითითებით)	კვალიფიკაცია	ხელშეკრულების გაფორმების ან თანამდებობაზე არჩევის ვადა
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					
8.					
9.					